

"24 საათის" ფიქიანი ნომერი

*2424

ტაიფანი
ტაივანი

A4



ტოკონდა - ქალი
ნარკოტიკული აბილიტაციის
ზღვარზე

A5



ლუქსემბურგი
თითქმის
შვებულაბაშია

A8



ერთი კვირა ოპტიმიზმის გამოსაცდელად

გიორგი ასანიშვილი

გუშინ შინაგან საქმეთა სამინისტროში ძალოვანი უწყებების ხელმძღვანელები საპარლამენტო უმცირესობისა და არასაპარლამენტო ოპოზიციის ლიდერთა ნაწილს შეხვდნენ. მოლაპარაკებებში "მასპინძელ მხარეს" წარმოადგენდა შინაგან საქმეთა მინისტრი ვანო მერაბიშვილი, შსს-ს ანალიტიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელი შოთა უტიაშვილი და მთავარი პროკურორი მამუკა გვარამია. უფრო მრავალრიცხოვანი იყო ხელისუფლების პოლიტიკური ოპონენტების დელეგაცია. მის შემადგენლობაში იყვნენ ირაკლი ალასანია, ზურაბ აბაშიძე, დავით უსუფაშვილი, ფიქრია ჩიხრაძე, ზურაბ ტყემალაძე, სანდრო ბრეგაძე, ბაჩუკი ქარდავა, ლევან ვეფხვაძე და ჯონდი ბალათურია. გუშინდელ შეხვედრაში სახალხო დამცველი სოზარ სუბარცი მონაწილეობდა. მართალია, მოლაპარაკებებს რაიმე არსებითი, შედეგი არ მოჰყოლია, მაგრამ იმას, რომ ასეთი შეხვედრა შედგა, მისი მონაწილეები უკვე დადებითად აფასებენ.

ძირითადი თემა, რომლის შესახებაც გუშინ ხელისუფლებისა და ოპოზიციის წარმომადგენლები ბჭობდნენ, საპროტესტო აქცი-



ების მონაწილე აქტივისტების დაპატიმრებისა და მათზე ფიზიკური ზეწოლის განხორციელების მომრავლებული ფაქტები იყო. პარტია "ჩვენი საქართველო - თავისუფალი დემოკრატიების"

ერთ-ერთი ლიდერის ზურაბ აბაშიძის აზრით, შეხვედრა პროდუქტიული გამოდგა იმ თვალსაზრისით, რომ ძალოვან უწყებათა პირველ პირებს უშუალოდ გადაეცათ ოპოზიციის ხელთ არ-

სებული ინფორმაცია მოქალაქეების უკანონო დაკავებასა და ცემის შემთხვევებთან დაკავშირებით.

ბაზრძალაბა A2 გვირდვა

იშვარიული ენა

დიმიტრი ავალიანი

რუსეთის პრეზიდენტის აგრესიული და უტიფარი განცხადება არა უკრაინის ხელისუფლების, არამედ უკრაინელი ხალხის მისამართით გაკეთდა, - აცხადებენ კიევში. ვიქტორ იუშჩენკო რუსი კოლეგისთვის ოფიციალური პასუხის გაცემას არ ჩქარობს. რუსული დიპლომატია, თავის მხრივ, მედვედევის განცხადებების აგრესიული ტონის შერბილებას ცდილობს. უცხოურ მედიას კიევისა და მოსკოვის ურთიერთობის დაძაბვა რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის ისტორიას ახსენებს.

უკრაინული მედიის ცნობით, ქვეყნის პრეზიდენტი შვებულე-ბაში იმყოფება და, შესაძლოა, საერთოდ არ ჩათვალს საჭიროდ, პასუხი გასცეს "უზრდელობას" სუვერენული სახელმწიფოს მიმართ და ამჯობინოს დასკვნების

გამოტანა ხალხს მიანდოს. დიმიტრი მედვედევმა თავის ვიდეოგზავნილში უკრაინა ანტი-რუსულ პოლიტიკაში, "ქართული აგრესიის" მხარდაჭერაში დაადასაშაულა და იმაზეც მიანიშნა, რომ ქვეყნის არსებულ ხელისუფლებასთან, ისევე როგორც საქართველოს შემთხვევაში, საქმეს აღარ დაიჭერს. უკრაინის პოზიცია რუსეთის პრეზიდენტის განცხადებებთან დაკავშირებით პარტია "ნაშა უკრაინას" საბჭოს ხელმძღვანელმა, პრეზიდენტ იუშჩენკოს სამდივნოს ხელმძღვანელმა ვერა ულიანჩენკომ გაახმოვანა. მისი თქმით, მედვედევის განცხადების "აგრესიული ტონი არა ვიქტორ იუშჩენკოს, არამედ მთლიანად ჩვენს სახელმწიფოსა და ხალხს ეხება". ამავე დროს, მან აღნიშნა, რომ "უკრაინა რუს ხალხთან მეგობრობის ერთგულია და ერთგული იქნება" და მოუწოდა რუსეთის მოქალაქეებს, ქვეყნის პრეზიდენტის აგრესიულ რიტორიკას გაემიჯნონ.

ბაზრძალაბა A3 გვირდვა

პარალელები სსრკ-ს და აფხაზეთს შორის

რუსეთის პრემიერ-მინისტრი ბაგაფშის ხელისუფლებას დახმარებას ჰპირდება

დათო ბაჩისონია

ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების ხელმოწერის ერთი წლის თავზე, რუსეთის ფედერაციის პრემიერ-მინისტრი ვლადიმირ პუტინი სოხუმში ჩავიდა. ის აფხაზეთის მარიონეტულ ხელისუფლებას, როგორც ფინანსურ, ასევე სახელმწიფოებრიობის განმტკიცების საკითხებში დახმარებას დაჰპირდა. პრემიერ-მინისტრ პუტინის ვიზიტი საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ საერთაშორისო სამართლის ნორმების დარღვევად შეაფასა.

რუსეთის პრემიერ-მინისტრმა აფხაზეთში ვიზიტი სოხუმის ცენტრში მდებარე დიდების მემორიალის ყვავილებით შემკობით დაიწყო. "რია ნოვოსტის" ცნობით, როდესაც რუსეთის

პრემიერ-მინისტრი მემორიალიდან ავტომანქანისკენ გაემართა, პუტინის დასახვედრად შეკრებილი ადგილობრივი მოსახლეობა მას აპლოდისმენტებით შეხვდა. საპასუხოდ, პრემიერმა პუტინმა შეკრებილებს გამძლეობისთვის მადლობა გადაუხადა. მოგვიანებით, მარიონეტ პრეზიდენტ ბაგაფშთან შეხვედრისას, მან განაცხადა, რომ "არ შეიძლება მოსახლის აღება, თუ თესლი არა-ნაყოფიერ მიწაზე დავარდობა." პუტინმა დასძინა, რომ "აფხაზეთ ხალხმა გამოავლინა სიმამაცე, პატიოსნება, მოთმინება, მიზანდასახულობა და ნიჭიერება იმისთვის, რაც ბოლო დროს შეიქმნა." მისივე თქმით, "რუსეთმა ბევრი რამ გააკეთა აფხაზი ხალხის დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის გზაზე და მხარი დაუჭირა აფხაზეთს სახელმწიფოებრიობის მშენებლობაში."

ბაზრძალაბა A3 გვირდვა

24 საათი
"24 საათის"
ელექტრონული ვერსია
იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:
თიბისი ბანკი
TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს
GRDC group
ჰენის სადაზღვევო ჯგუფი

პოლონეთის პრეზიდენტი კვლავაც დარწმუნებულია, რომ შარშანდელი ომი საქართველოსთან რუსეთმა დაიწყო

რუსეთ-საქართველოს ომის წლისთავთან დაკავშირებით, გაიმართა პოლონეთის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის კონსტანტინე ქავთარაძის შეხვედრა პოლონეთის ეროვნული უშიშროების ბიუროს ხელმძღვანელთან ალექსანდრ შრიგლოსთან. შეხვედრის შემდეგ, პოლონეთის ეროვნული უშიშროების ბიურომ მოამზადა მოხსენება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ 2008 წლის 12 აგვისტოს ექვსპუნქტიანი და 2008 წლის 8 სექტემბრის დამატებითი სამპუნქტიანი შეთანხმებების შესრულების შესახებ. მოხსენება პრეზიდენტ ლეხ კაჩინსკის გადაეცა და მიმდინარე წლის 11 აგვისტოს საჯარო გახდა. მოხსენებაში ნათქვამია, რომ ომის დამთავრებიდან ერთი წლის შემდეგ, რუსეთი კვლავ იგნორირებას უკეთებს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმებების მოთხოვნათა უმრავლესობას. მოხსენების გამოქვეყნებასთან დაკავშირებით მიცემულ ინტერვიუში ეროვნული უშიშროების ბიუროს ხელმძღვანელმა ალექსანდრ შრიგლომ განაცხადა, რომ პოლონეთის პრეზიდენტი, როგორც ერთი წლის წინ, კვლავაც დარწმუნებულია, რომ შარშანდელი ომი საქართველოსთან რუსეთმა დაიწყო.

ალექსანდრ შრიგლოს თქმით, რუსეთ-საქართველოს ომის მიმდინარეობა ადასტურებს, რომ აგრესორი მხარე რუსეთი იყო. მისი განცხადებით, საქართველოს, როგორც სუვერენულ სახელმწიფოს, აქვს სრული უფლება, რათა უზრუნველყოს აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის დაბრუნება მის სახელმწიფო საზღვრებში. უშიშროების ბიუროს ხელმძღვანელმა ბრალი დასდო ზოგიერთ ევროპულ ქვეყანას რუსეთის მიმართ არაადეკვატური საგარეო პოლიტიკის წარმოებაში. მისი განცხადებით, პუტინის ადმინისტრაციამ არ შეასრულა ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების ყველა პუნქტი. **ჯი-ეი-ენი**

სარკოზი-მედევეცი-სააკაშვილის ე. წ. ნ-პუნქტიანი შეთანხმებიდან ერთი წელი შესრულდა

გუშინ სარკოზი-მედევეცი-სააკაშვილის ე. წ. ნ-პუნქტიანი შეთანხმების გაფორმებიდან ერთი წელი შესრულდა. 2008 წლის 12 აგვისტოს ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყნის, საფრანგეთის პრეზიდენტის, ნიკოლა სარკოზის შუამდგომლობით, კონფლიქტურმა მხარეებმა მიადონეს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებას, რომელსაც საქართველომ თბილისში 15 აგვისტოს მოაწერა ხელი, ხოლო რუსეთმა მოსკოვში - 16 აგვისტოს. 2008 წლის 7 აგვისტოს ომი ცხინვალის რეგიონში ქართულ ჯარებსა და რუსი სამხედროებით ზურგამაგრებულ ოს სეპარატისტთა შორის დაიწყო. ომში რუსეთი ოფიციალურად 8 აგვისტოს ჩაერთო, რომელმაც რეგიონში თავისი ჯარების ქვედანაყოფები და მძიმე ტექნიკა შეიყვანა. რუსეთმა საქართველოს სხვა რეგიონების საპაერო დაბომბვაც დაიწყო. რუსეთის და ოსების გაერთიანებული სახედრო შენაერთები ქართველებს ცხინვალში სამ დღეს ებრძოდნენ. რუსულმა გემებმა საქართველოს შავიზღვისპირეთი დაბლოკეს. 9 აგვისტოს რუსულმა და აფხაზურმა ძალებმა მეორე ფრონტი გახსნეს კოდორის ხეობაზე თავდასხმით და დასავლეთ საქართველოს შიდა ტერიტორიებში შეიჭრნენ. ხუთი დღის შემდეგ ქართულმა ჯარებმა ცხინვალისა და აფხაზეთის რეგიონი დატოვეს. ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყნის, საფრანგეთის პრეზიდენტის, ნიკოლა სარკოზის შუამდგომლობით კონფლიქტურმა მხარეებმა 12 აგვისტოს მიადონეს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებას, რომელსაც საქართველომ თბილისში 15 აგვისტოს მოაწერა ხელი, ხოლო რუსეთმა მოსკოვში - 16 აგვისტოს. 12 აგვისტოს რუსეთის პრეზიდენტმა დიმიტრი მედევეციმ გასცა ცეცხლის შეწყვეტის ბრძანება, თუმცა საქართველოს დასახლებული პუნქტების დაბომბვები და რუსი ჯარისკაცების თვითნებობები არ შეწყვეტილა. შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ რუსეთმა თავისი ჯარების უმეტესი ნაწილი სამეგრელოს და შიდა ქართლის რეგიონებიდან გაიყვანა. ბუფერული ზონები შექმნა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საზღვრების გასწვრივ და სათვალთვალო პუნქტები დატოვა ფოთში, სენაკსა და პერევიში. 26 აგვისტოს რუსეთმა სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობა ცნო. საქართველოს მთავრობის ინფორმაციით, რუსეთ-საქართველოს ომში 412 ადამიანი დაიღუპა. დაღუპულთაგან 228 მშვიდობიანი მოქალაქე იყო, 170 სამხედრო მოსამსახურე და 14 პოლიციელი, 3 უურუნაოსტი, მათ შორის ერთი - უცხოელი. საომარი მოქმედებების შედეგად დაიჭრა 1747 მოქალაქე, მათ შორის - 973 სამხედრო მოსამსახურე, 547 მშვიდობიანი მოქალაქე და 227 პოლიციელი. უგზო-უკოლო დაკარგულა და დაგროვებული 10 სამხედრო მოსამსახურე და 14 პოლიციელი.

ჯი-ეი-ენი

ერთი კვირა ოპტიმიზმის გამოსაცდელად

პირველი კვირის დასრულება

“არ მინდა, რომ ამ შეხვედრით საზოგადოებაში გადამეტებული მოლოდინი შეიქმნას. მისი არსი მხოლოდ აღნიშნული მასალების გადაცემაში მდგომარეობდა. ახლა უკვე ხელისუფლების მხრიდან ველივდებით პასუხს. ერთი კვირის შემდეგ კვლავ შევიკრიბებით და ამ საკითხისადმი სამართალდამცავების დამოკიდებულებაც სწორედ მაშინ გამოიკვეთება,” - აცხადებს “24 საათთან” საუბარში ზურაბ აბაშიძე.

მისივე თქმით, შექმნილ ვითარებაში ორი მომენტი საგარეოდ.

“ან პოლიცია ვერ აკონტროლებს კრიმინოგენურ სიტუაციას და ადამიანებს უმოწყალოდ ეპყრობიან და ანამებენ, ან თავად სამართალდამცავების მიერ ხდება დანაშაულებრივი ქმედებების ინსპირირება,” - ვარაუდობს ირაკლი ალასანიას თანაპარტიელი.

თავად ალასანია კი იმ გარემოებას უსვამს ხაზს, რომ ოპოზიციის წარმომადგენლებმა შინაგან საქმეთა მინისტრ ვანო მერაბიშვილისგან “პოლიტიპატიმრების საქმეების გამოძიების” პირობა მიიღეს.

“ეს იყო ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის ურთიერთობის დარღვევების მიმართული გადადგმული პირველი მნიშვნელოვანი ნა-

ბიჯი. ერთი კვირის ვადაში მინისტრი დაკავებულების საქმეებს შეისწავლის და თითოეულ საქმეზე კონკრეტულ პასუხს გაგვცემს. მეორე შეთანხმების თანახმად კი, იმ შემთხვევაში, თუ დაჭრები კვლავ გაგრძელდება, შინაგან საქმეთა სამინისტრო და ოპოზიცია 24-საათიანი თანამშრომლობის რეჟიმში გადავლენ. ეს ერთი კვირა არის გამოცდა ორივე მხარისთვის,” - დასძენს ირაკლი ალასანია.

იმ ფაქტს, რომ სამართალდამცავებსა და ოპოზიციის ლიდერებს შორის შეხვედრა შედგა, “მემარჯვენეების” წარმომადგენელი ფიქრია ჩხრაძეც პოზიტიურად აფასებს.

“ბოლო პერიოდში სიტუაცია, პოლიტიკური რეპრესიების თვალსაზრისით, მეტად დამძიმდა. თუ მოგვეცემა შესაძლებლობა, რომ ამ მიმართულებით რაღაც გარღვევა მოვახდინოთ, ეს ყველა მხარისთვის, პირველ რიგში კი, ქართული საზოგადოებისთვის, ძალიან კარგი იქნება. ჩვენ ვეცადეთ, რომ ეს შანსი გამოგვეყენებინა, შედეგზე კი, უკეთესი იქნება, ცოტა მოგვიანებით ვილაპარაკოთ,” - აცხადებს დავით გამყრელიძის თანაგუნდელი.

“24 საათის” კითხვაზე, ძალიან უწყებების პირველ პირებს სურთ არსებული სურათის შეცვლა თუ ეს იყო მხოლოდ “შეხვედრა შეხვედრისთვის”, “მემარჯვენეების” წარმომადგე-

ნელი პასუხობს: “ჩემი განწყობის გამოხატვისგან ამჯერად თავს შევიკავებ. ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ მინდა, კონკრეტული შედეგი მივიღოთ. საამისო განწყობა ოპოზიციის მხრიდან ნამდვილად არსებობს. გუშინდელი შეხვედრის ფაქტი კი იმის მანიშნებელია, რომ ასეთი განწყობა ხელისუფლებასაც გააჩნია.”

ხელისუფლების მხრიდან შემხვედრი ნაბიჯების გადადგმა აუცილებლად მიაჩნია მოქმედ სახალხო დამცველსაც.

“პოლიტიკურმა ტერორმა შემაშფოთებელი ხასიათი მიიღო. ადამიანებს მათი პოლიტიკური შეხედულებების გამო შეურაცხყოფენ, სცემენ და პლასტიკურ ტყვიებს უშენენ. ამა თუ იმ ოპოზიციური პარტიის აქტივისტებს უდებენ ნარკოტიკს, იარაღს და იჭერენ. ეს თუ არ დამთავრდა, არა თუ დემოკრატიაზე ლაპარაკი კი ზედმეტია, არამედ თავად სახელმწიფოებრიობას ექმნება საფრთხე,” - ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში არსებული მდგომარეობით შემოფოთებულია სოზარ სუბარი.

ამავე თემას აგრძელებს პარლამენტის ოპოზიციონერი ვიცე-სპიკერი ლევან ვეფხვაძე.

“ეს ის ადამიანები არიან, ვინც აქტიურად იყო ჩართული მიტინგებსა და მანიფესტაციებში. მოგვიანებით სწორედ მათ “აღმოჩნდათ” ნარკოტიკული ნივთიერებები და ხელუშობარები. ალსანიშნავია

ისიც, რომ ამ სახის დანაშაულებების მონაწილეები, როგორც წესი, მხოლოდ პოლიციელები არიან ხოლმე,” - სამართალდამცავთა ობიექტურობაში ეჭვი შეაქვს ლევან ვეფხვაძეს.

გუშინდელი შეხვედრით კმაყოფილი დარჩა მისი კიდევ ერთი მონაწილე, ეროვნულ დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე ბაჩუკი ქარდავა. მისი განცხადებით, იგი “ილუზიებით არ იკვებებოდა” და პირველი შეხვედრისგან გადაჭარბებული მოლოდინი არ ჰქონია, მაგრამ კმაყოფილია იმით, რომ დიალოგის დროს ოპოზიციის მიერ დაყენებული ყველა საკითხი შსს-ს პირველი პირის მიერ გაზიარებული იქნა (ოპოზიციის კონკრეტულ პრეტენზიებზე ინფორმაციის მიწოდების თვალსაზრისით).

“არანაკლებ მნიშვნელოვანია ისიც, რომ მოხდეს პოლიტიკური პროცესებისგან სამართალდამცავი სტრუქტურების წარმომადგენელთა გამოჯენა. ეს ჩვენი მოთხოვნაც არის და როგორც შეხვედრის დროს გაირკვა, ასეთივე პოზიცია აქვს თავად ვანო მერაბიშვილსაც. თუ თანამშრომლობის პროცესი გაგრძელდება ისე, როგორც დავინახეთ, ეს ქვეყნისთვის სასარგებლო იქნება,” - აცხადებს “24 საათთან” საუბარში ედმ-ს ლიდერი.

"ნადირობა უფლებადამცველებზე"

“როდემდე უნდა გავრძელდეს სასტიკი ნადირობა იმ ადამიანებზე, რომლებიც სამართლიანობისთვის იბრძვიან და ცდილობენ, საჯარო გახადონ ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტები ჩეჩნეთში? როდემდე უნდა დადიოდნენ დაუსჯელები ცნობილი უფლებადამცველების მკვლელობის დამკვეთები და შემსრულებლები?” - ამ კითხვით რუსეთის ფედერაციის ხელისუფლებას და ჩეჩნეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს საერთაშორისო ორგანიზაცია Human Rights Watch-ი მიმართავს და ორი დღის წინ მოკლული ჩეჩენი ცოლ-ქმრის ზარემა სადულაევასა და მისი მეუღლის ალიკ ჯაბრაილოვის მკვლელობის საქმის სასწრაფოდ გახსნისა და ობიექტურად გამოძიებას მოითხოვს. ჩეჩნურ ახალგაზრდული არასამთავრობო ორგანიზაცია “გადავარჩინოთ მომავალი თაობის” ხელმძღვანელი ზარემა სადულაევა და მისი მეუღლე ალიკ ჯაბრაილოვი გროზნოს ოფისიდან უცნობა პირებმა გაიტაცეს. მოგვიანებით კი ადამიანის უფლებათა დამცველები ჩეჩნოორეჩეს დასახლებაში, საკუთარი ავტომობილის საბარგულში იპოვეს მოკლულები.

“შეშფოთებული ვარ არასამთავრობო ორგანიზაციის წევ-



ზარემა სადულაევა

რების მკვლელობის ფაქტით. ეს ცინიკური და არაადამიანური დანაშაული მიმართულია ხალხის დაშინებისკენ. უფლებადამცველების მკვლელების დაკავება-დასჯა ჩემი პირადი ღირსების საკითხია. პირობას ვდებ, დამნაშავეები ძალიან ჩქარა კანონის ძალით დაისჯებიან,” - აცხადებს, ჩეჩნეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი რამზან კადიროვი, რომელმაც ზუსტად ასეთივე განცხადება ერთი თვის წინ, ორგანიზაცია “მემორიალის” გროზნოს ორგანიზაციის წევრის ნატალია ესტემიროვას მკვლელობის დღეს გააკეთა, როდესაც “მემორიალის” წევრებმა კოლფევის მკვლელობაში ბრალი სწორედ ჩეჩნეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს დასდეს.

როგორც რუსული პრესა წერს, ჩეჩნეთის ხელისუფლებამ

თვლიან, რომ ჩეჩნეთში ბოლო დროს მომხდარი გახმაურებული მკვლელობები, რომლებიც მამინვე მსოფლიო გამოხმაურების საგანი ხდება, რესპუბლიკის მოქმედი ხელისუფლების წინააღმდეგ არის მიმართული და გარკვეულ მიზანს ემსახურება.

რუსეთის ფედერაციის გენერალურ პროკურატურასთან არსებული საგამოძიებო კომიტეტის ოფიციალური განცხადებით, გამოძიება მკვლელობის რამდენიმე ვერსიაზე მუშაობს, თუმცა, ამ ვერსიებს შორის, კომიტეტის წევრების თქმით, ანგარიშსწორება იკვეთება.

სისხლიანი ანგარიშსწორების მსხვერპლი გახდა.

“როგორც ჩანს, მკვლელის მიზანი ალიკ ჯაბრაილოვის განადგურება გახლდათ. ალიკ ჯაბრაილოვი წლების განმავლობაში ერთ-ერთი უკანონო შეიარაღებული დაჯგუფების წევრი იყო. შესაძლოა, ალიკ ჯაბრაილოვს კავშირი ჰქონოდა ჩეჩნეთის მკვლელობებთან. მისი და მისი მეუღლის მკვლელებმა კი მასზე შური იძიეს,” - ასეთ განცხადებებს აკეთებენ რუსი და ჩეჩენი სამართალდამცველები. ITAP-TACC-ის ინფორმაციით, ამ ვერსიას თავად რამზან კადიროვიც ადასტურებს.

ჩეჩნეთში მოქმედმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა და ადამიანის უფლებების დამცველებმა ერთობლივი განცხადება გაავრცელეს, რომელშიც ნათქვამია, რომ ჩეჩნეთში მომხდარი მკვლელობები რესპუბლიკაში ბოლო დროს განვითარებული პოზიტიური მოვლენების წინააღმდეგ არის მიმართული. “ამ დანაშაულებში კარგად ჩანს რუსეთის პოლიცია, რომლის განხორციელებაც მას კავკასიაში და კონკრეტულად ჩეჩნეთში სურს,” - ნათქვამია ერთობლივ განცხადებაში. უფლებადამცველების ვერსიით, ისევე, როგორც ნატალია ესტემიროვას მკვლელობაში, ზარემა სადულაევასა და ალიკ ჯაბრაილოვის მკვლელობაშიც რამზან კადიროვის ხელი ურევია.

იშვარიული ენა

პირველი გვერდიდან

ამ განცხადებას რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გრიგორი კარასინი გამოეხმაურა და მედვედევის მკაცრი ტონის შერბილებას შეეცადა. მან აღნიშნა, რომ კიევში მედვედევის განცხადებებს "არასწორი ინტერპრეტაცია" გაუკეთეს. "ამ გზავნილში არ არის არავითარი აგრესია, იქ ჩვენი შემოთავაზება იყო გამოთქმული," - განაცხადა რუსმა დიპლომატმა. ამავე დროს, მან აღნიშნა, რომ "ორივე ხალხმა და ორივე ქვეყანამ უნდა ითანამშრომლონ".

მედვედევის დემარს დასავლეთის მხრიდან პირველი გამომხატურება ევროპარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე მარეკ სივეცის მხრიდან მოჰყვა. მან რუსეთის პრეზიდენტის განცხადებას "უკრაინაში მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში ჩარევის

მცდელობა" უწოდა. სივეცის თქმით, "რუსეთის იშვარიული პოლიტიკის ენას ევროპაში კარგად ცნობენ". ბრიუსელი ამ ეტაპზე არ აპირებს ჩარევას რუსეთისა და უკრაინის ურთიერთობებში, თუმცა, მოვლენების განვითარებას ყურადღებით დააკვირდება, - აღნიშნა ევროპარლამენტის თავმჯდომარის მოადგილემ.

უცხოურ მედიას, მედვედევის აგრესიულმა განცხადებამ, საქართველოსთან დაკავშირებით რუსული პოლიტიკა გაახსენა. "ურთიერთობის ასეთი გაციება მეზობლებთან რუსეთს არ ჰქონია გასული წლის აგვისტოში საქართველოსთან კონფლიქტის შემდეგ. მაშინაც მედვედევა განაცხადა, რომ საქართველოს ხელისუფლებასთან რაიმე კონტაქტის განახლება მხოლოდ სააკაშვილის გადადგომის შემდეგ იქნებოდა შესძლებელი," - წერს რუსული გაზეთი "კომერსანტი" და იმასაც აღნიშნავს, რომ, საქართველოსთან კონფლიქტის მსგავსად, კიევისა და მოსკოვის ურთიერთობა დიპლომატიური სკანდალის შემდეგ დაიძაბა, რომელიც ორივე დედაქალაქში დიპლომატების გაძევებაში გამოიხატა.

"რუსეთის ლიდერის გზავნილი, როგორც ჩანს, კრემლის საქმიანობის დასაწყისს ნიშნავს უკრაინაში დელეგაციის აღსადგენად. ეს ძალიან ჰგავს იუშჩენკოს პროდასავლური მმართველობისთვის წერტილის დასმის მცდელობას 2010 წლის იანვრის არჩევნების წინ," - წერს, თავის მხრივ, ბრიტანული გაზეთი "ფაინანსტილ თაიმსი". გამოცემის მოჰყავს მოსკოვის კარნეგის ცენტრის ანალიტიკოსის ილია შვეცოვას მოსაზრება იმის თაობაზე, რომ მედვედევის

გზავნილი უკრაინის მომავალ ლიდერისთვის არის განკუთვნილი: "თქვენთან მხოლოდ იმ შემთხვევაში ვითანამშრომლებთ, თუ ნატო-ში აღარ გაწევრიანდებით და რუსეთის ენერგეტიკულ ნებს დამოუკიდებლობა გერმანული გაზეთის "ფრანკფურტერ რუნდშაუ" მიმომხილველი რუსეთის მუქარას უკრაინის მისამართით იმას უკავშირებს, რომ აგვისტოს ომში უკრაინამ საქართველოს მხარე დაიჭირა. მედვედევის განცხადება, ავტორის აზრით, "საბჭოური აზროვნების მაგალითია": მედვედევი ძალიან დიდ რისკზე მიდის. 2004 წელს მოსკოვი უკრაინის არჩევნებზე შემოქმედებას აქტიურად შეეცადა, მაგრამ მაშინ არა კრემლის ფავორიტმა იანუკოვიჩმა, არამედ ვიქტორ იუშჩენკომ გაიმარჯვა, - აღნიშნავს გამოცემა.

პარალელები სსრკ-ს და აფხაზეთს შორის

პირველი გვერდიდან

პრემიერ-მინისტრი პუტინი მარიონეტულ ხელისუფლებას დახმარებას მომავალშიც პირდება. მან უცხოელ ინვესტორებს ურჩია, რომ აფხაზეთში თანხის დაბანდებისგან თავი არ შეიკავონ. "დრო არ ითმენს. ხოლო ვინც ინვესტირების ჩადებას აგვიანებს, ის მაინც მოვა, თუმცა ამა თუ იმ ობიექტის შექმნა უფრო ძვირად მოუწევს," - განაცხადა პუტინმა. ის მიიჩნევს, რომ შექმნილი რეალობა ყველაფერს თავის ადგილს მიუჩენს. სწორედ ამიტომ, რუსეთის პრემიერ-მინისტრმა გაიხსენა საბჭოთა კავშირის მაგალითი. კერძოდ, მისი თქმით, თავის დროზე სსრკ-ს ცნობაც გრძელვადიანი პროცესი იყო. ხოლო, დღესდღეობით, შექმნილი ვითარებაში, პუტინის აზრით, მანამ, სანამ საერთაშორისო ორგანიზაციები აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში დამკვირვებლებს გამოგზავნიან, აუცილებელია აღიარონ ორივე რესპუბლიკის დამოუკიდებლობა.

პუტინი სოხუმში მთელი წყება დაპირებებით ჩავიდა. "რია ნოვოსტის" ცნობით, 2010-2011 წლებში აფხაზეთის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების შესახებ მოსკოვმა და სოხუმმა გეგმა შეიმუშავეს. მასში გათვალისწინებულია სოხუმის მარიონეტული რეჟიმისთვის 10,9 მილიარდი რუბლის გამოყოფა. პუტინის თქმით, ამ თანხით უნდა აღდგეს ინფრასტრუქტურა, ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა, ჯანდაცვისა და განათლების სისტემები. რუსეთის რეგიონული განვითარების მინისტრმა ვიქტორ ხაბარცინმა დააკონკრეტა, რომ აღნიშნული ფინანსური სახსრები ჯერჯერობით რუსეთის ბიუჯეტში გათვალისწინებული არ არის. თუმცა, მინისტრმა დასძინა, რომ ფედერალურ ბიუჯეტში აუცილებელია შეეცადოს და დააფხაზეთს თანხა გამოეყოფა. ამა თუ იმ საკითხზე კონკრეტული მოლაპარაკებების



გასამართად, რუსეთის ფედერაციის პრემიერ-მინისტრი სოხუმში წარმომადგენლობითი დელეგაციით იმყოფებოდა. მარიონეტულ ხელისუფლებასთან შეხვედრას ესწრებოდნენ რუსეთის ფედერაციის რეგიონული განვითარების, ტრანსპორტის, თავდაცვის და კავშირგაბმულობის და მასობრივი კომუნიკაციის მინისტრები. შეხვედრას ასევე დაესწრო კრასნოდარის მხარის გუბერნატორი. გარდა ამისა, პუტინთან ერთად იყო რამდენიმე კომპანიის წარმომადგენელი, მათ შორის "როსნეფტის" და "ინტურისტის" პრეზიდენტები და რუსეთის რკინიგზის ვიცე-პრეზიდენტი. რაც შეეხება მარიონეტულ ხელისუფლებას, მოლაპარაკებებში, სერგეი ბაგაფთან ერთად, მონაწილეობდნენ დეფაქტო პრემიერ-მინისტრი ანჭევაბი, პარლამენტის სპიკერი აშუბა და ადგილობრივი მთავრობის წევრები.

ეკონომიკური თემების გარდა გუშინ სოხუმში აფხაზეთის უსაფრთხოების საკითხებიც განიხილეს. პრესკონფერენციაზე პუტინმა განაცხადა, რომ რუსეთი ეხმარება და მომავალშიც სისტემურ დახმარებას გაუწევს აფხაზეთს, როგორც ეკონომიკური და პოლიტიკური, ასევე, საჭიროების

შემთხვევაში, სამხედრო კუთხითაც. რუსეთის თავდაცვის მინისტრმა ანატოლი სერდიუკოვმა კი განაცხადა, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე სამხედრო კონტინგენტის გაზრდა დაგეგმილი არ არის. მან განმარტა, რომ "აფხაზეთში განლაგებულია მეშვიდე სამხედრო ბაზა და მისი შემადგენლობა 3636 პირს შეადგენს. ხოლო, სამხრეთ ოსეთში შედარებით მცირე სამხედრო კონტინგენტიცაა. რაც სავსებით საკმარისია." მინისტრმა დასძინა, რომ რუსეთი არ აპირებს აფხაზეთში შავი ზღვის ფლოტის გადატანას.

პუტინი აფხაზ ჟურნალისტებსაც შეხვდა. მან სოხუმში ვიზიტი პიროვნულ ფაქტორებს დაუკავშირა. "მინდა, ყველაფერი ჩემი თვალთვინით ვნახო და, რა თქმა უნდა, მაინტერესებს, როგორ შეიცვალა აფხაზეთი," - განაცხადა პუტინმა. მან თავისი ახალგაზრდობაც კი გაიხსენა. "ორჯერ ვიყავი აფხაზეთში, პირველად სამშენებლო რაზმში, როცა ჯერ კიდევ უნივერსიტეტში ვსწავლობდი. მეორედ კი სტუდენტურ ბანაკში - გულაუთაში ჩავედი და ფიზიკური მუშაობით დიდი ფული ვიშოვე, დაახლოებით 800 მანეთი. აღებული ფულით ლაბადა

ვიყიდე, ხოლო დარჩენილი თანხა კი გაგრაში დახარჯე. ეს ჩემი ცხოვრების საუკეთესო წლები იყო," - აღნიშნა პუტინმა.

რუსეთის პრემიერ-მინისტრის სოხუმში ვიზიტი უარყოფითად შეაფასა ოფიციალურმა თბილისმა. გუშინდელ პრესკონფერენციაზე საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ალექსანდრე ნალბანდოვმა განაცხადა, რომ "სოხუმში რუსეთის პრემიერის ვიზიტი უკანონოა და საერთაშორისო სამართლის ყველა ნორმის დარღვევაა." ოფიციალური თბილისი მიიჩნევს, რომ 2009 წლის 12 აგვისტოს პუტინის ვიზიტი ოკუპირებულ აფხაზეთში არ არის უბრალო დამთხვევა, არამედ გამიზნული და მიზანმიმართული პროვოკაციაა. საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის აზრით, რუსეთმა მთელი საერთაშორისო თანამეგობრობა გამოიწვია. გარდა ამისა, საგარეო უწყებამ გამოაქვეყნა განცხადება, სადაც აღნიშნულია, რომ "პუტინის "ვიზიტი" სუვერენული ქვეყნის ოკუპირებულ ტერიტორიაზე არის საბჭოთა სპეცსამსახურების სტილში განხორციელებული კიდევ ერთი პროვოკაცია, რომელიც არ შეეფერება იმ სახელმწიფოს მთავრობას, რომელსაც აქვს პრეტენზია განსაკუთრებულ როლზე საერთაშორისო ურთიერთობებში." სამინისტრომ, აგრეთვე, მიმართა საერთაშორისო თანამეგობრობას, აიძულოს რუსეთი, რომ პატივი სცეს საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებსა და პრინციპებს და უპირობოდ შეასრულოს 2008 წლის 12 აგვისტოს 6-პუნქტიანი შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებები, მათ შორის, მოახდინოს საქართველოს ტერიტორიის სასწრაფო დეოკუპაცია. გუშინვე საგარეო უწყებამ რუსეთის ფედერაციისთვის გადასაცემად საპროტესტო ნოტა შევიცარიის საელჩოს გაუგზავნა.

"ხელისუფლებას ეძლევა შანსი, რომ ნდობა აღიდგინოს და ქვეყანა პოლიტიკური კრიზისიდან გამოიყვანოს"

ექსპერტი ირაკლი სესიაშვილი აცხადებს, რომ ძალიან მინისტრებისა და ოპოზიციის ლიდერების შეხვედრის შემდეგ გარდამტეხი შედეგები მოსალოდნელი არ არის. სესიაშვილი მიიჩნევს, რომ დღევანდელი შეხვედრით ხელისუფლებას ეძლევა შანსი, რომ ნდობა აღიდგინოს და ქვეყანა პოლიტიკური კრიზისიდან გამოიყვანოს. "აპრილიდან დღემდე საკმაოდ დიდი დრო გავიდა. სამწუხაროდ, ამ დროის განმავლობაში არ მინახავს ხელისუფლების მიერ შემხვედრი ნაბიჯები გადმოდგმული. ხელისუფლებას ერთი მილიმეტრითაც კი არ დაუთმია ხელისუფლებას ის ტოტალიტარული მმართველობა, რომელიც მან ამ 5-6 წლის განმავლობაში შექმნა. ამიტომ, ამ შეხვედრიდან რაიმე დიდ და გარდამტეხ შედეგებს არ ველი, თუმცა ხელისუფლებას აქვს შანსი, შემხვედრი ნაბიჯები გადადგას. დღეს არც ქურბია გადაკეტილი და არც მასობრივი მიტინგები მიმდინარეობს და თუ ხელისუფლებას არ სურს, რომ მიტინგების ფონზე დათმობაზე წავიდეს, დღეს არის ის ვითარება, რომ მან თავად გადადგას პოზიტიური ნაბიჯები და ხელი შეუწყოს პოლიტიკური კრიზისიდან გამოსვლას," - განაცხადა ირაკლი სესიაშვილმა. ექსპერტის აზრით, "აღიანსი საქართველოსთვის" ლიდერის, ირაკლი ალასანიას მიერ მინისტრებისათვის პოლიტიკატიმართა სის წარდგენას აზრი არ ჰქონდა, რადგან სესიაშვილის თქმით, ყველა დაპატიმრებულის საქმე და ვინაობა შსს-მ კარგად იცის. "ცოტა უზერხულად მეჩვენა, როდესაც ბატონმა ირაკლი ალასანიამ შს მინისტრს მიუტანა მასალები, რომელიც მოწმობდა პოლიტიკური პატიმრების ფაქტებს. უჩვეულოდ მეჩვენა ეს იმდენად, რამდენადც, ყველას სახელები და გვარები ძალიან კარგად იცის ჩვენმა შსს მინისტრმა და ისიც კარგად იცის, რის გამო არიან თითოეული მათგანი დაპატიმრებული. ასე, რომ არც ღირდა მასალების მიტანა," - განაცხადა სესიაშვილმა.

პოლონეთის ეროვნული უშიშროების ბიურო რუსეთს 2008 წლის 12 აგვისტოს შეთანხმების იგნორირებაში ადანაშაულებს

პოლონეთის ეროვნული უშიშროების ბიურომ ცეცხლის შეწყვეტის შესახებ 2008 წლის 12 აგვისტოსა და 2008 წლის 8 სექტემბრის შეთანხმებების შესრულების მდგომარეობასთან დაკავშირებით ანალიზის შედეგები გამოაქვეყნა. პოლონეთის ეროვნული უშიშროების ბიურო აცხადებს, რომ ომის დასრულებიდან ერთი წლის შემდეგ რუსეთი კვლავ იგნორირებას უკეთებს 2008 წლის 12 აგვისტოს, მოსკოვში, პრეზიდენტ სარკოზისა და მედვედევის მიერ შეთანხმებული ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ექვსპუნქტიან და 2008 წლის 8 სექტემბრის სამპუნქტიან შეთანხმებებს. "2008 წლის 12 აგვისტოს შეთანხმების პირველი ორი პუნქტი ეხებოდა ძალის გამოყენებისგან თავის შეკავებასა და სამხედრო მოქმედებების საბოლოო დასრულებას. ძალის გამოყენებისგან სრულ თავშეკავებას მხოლოდ საქართველოს მხარე ახორციელებს. რუსეთი კვლავ ცდილობს საქართველოზე ზენოლის განხორციელებას, ემუქრება რა მას სამხედრო საშუალებების გამოყენებით", - აცხადებს პოლონეთის ეროვნული უშიშროების ბიურო. პოლონეთის ეროვნული უშიშროების ბიუროს განცხადებით, რუსეთის მხარემ არ დაუშვა 2008 წლის 12 აგვისტოს შეთანხმების მე-3 პუნქტის განხორციელება, რომლის მიხედვითაც, გარანტირებული უნდა ყოფილიყო კონფლიქტის ზონებში ჰუმანიტარული დახმარების დაუბრკოლებელი მიწოდება. პოლონეთის ეროვნული უშიშროების ბიურო აცხადებს, რომ არ სრულდება ასევე შეთანხმება საქართველოს შეიარაღებული ძალების მუდმივი დისლოკაციის ადგილებზე დაბრუნებასთან დაკავშირებით. "რუსეთის შეიარაღებული ძალები უნდა დაბრუნდნენ სამხედრო მოქმედებების დაწყებამდე არსებულ პოზიციებზე. 2008 წლის 8 სექტემბრის სარკოზისა და მედვედევის მორიგ შეთანხმებას უნდა განესაზღვრა საქართველოდან რუსული ჯარის გაყვანის კონკრეტული პირობები და თარიღები, თუმცა არ აღმდგარა აგვისტომდე არსებული მდგომარეობა," - აცხადებს პოლონეთის ეროვნული უშიშროების ბიურო.

კოდაში ზემო აფხაზეთის სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახური გაიხსნა

თეთრწყაროს რაიონის სოფელ კოდაში, ზემო აფხაზეთის სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახური გაიხსნა, რომელიც ზემო აფხაზეთიდან დევნილი 19 მედიკოსით დაკომპლექტდა. სასწრაფო დახმარების სამსახურის ბრიგადა, სოფელ კოდაში ჩასახლებულ 1600 დევნილთან ერთად, რომელთაგან 22 ოჯახი ზემო აფხაზეთიდანაა, ადგილობრივ მოსახლეობასაც გაუწევს სასწრაფო სამედიცინო დახმარებას. სასწრაფო დახმარების სამსახური "გადაუღებელი სამედიცინო დახმარების პრეზიდენტის პროგრამის" ფარგლებში გაიხსნა.

ინგუშეთში მხარეთმცოდნეობის მინისტრი მოკლეს

ინგუშეთის დედაქალაქ მაგასში საკუთარ კაბინეტში რესპუბლიკის მხარეთმცოდნეობის მინისტრი რუსლან ამერხანოვი მოკლეს. ოფიციალური ინფორმაციით, მინისტრი ორმა უცნობმა პირმა დილის ათ საათზე დაცხრილა. დამნაშავეები ნიღბები იყენებდნენ და შემდეგ მათ სამინისტროს მიმდებარე ტერიტორიის დატოვებაც მოახერხეს ავტომანქანით. მინისტრი ადგილზევე გარდაიცვალა, დაიჭრა აგრეთვე მისი თანამშემგზავნი ამირხანოვი.

მკვლელობის ძირითად ვერსიად მინისტრის სამსახურებრივი საქმიანობა განიხილება, მაგრამ არ გამოირიცხება აგრეთვე დანაშაულის საყოფაცხოვრებო მიზეზი. ბოლო პერიოდში ინგუშეთში ტარდებოდა სამხრეთის სფეროს რევიზია, მომდებელი ახალაშენებული და მშენებარე ობიექტები. ბოლო წლებში ინგუშეთში ყვაოდა კორუფცია, მათ შორის, სამხრეთის სფეროს ერთ-ერთი "ნამყვანი" ადგილი ეჭირა. აყვავებული სამხრეთის ინდუსტრია დიდ კონტრაქტს ქმნიდა მოსახლეობის ძირითადი ნაწილის სიღარიბესთან. ეს კონტრაქტი ისლამისტური იატაკქვეშეთის გაძლიერების ერთ-ერთი საფუძველია. იატაკქვეშეთის უკავშირებენ ბოლო პერიოდში მომხდარ რამდენიმე სერიოზულ ტერორისტულ თავდასხმას, მათ შორის კულმინაცია, ცხადია, ივნისის ბოლოს ინგუშეთის პრეზიდენტ ევკუროვზე ტერორისტული თავდასხმის თავდასხმა იყო (ამაზე დანერგული ნერა "24 საათი").

ინგუშეთის პრეზიდენტის მოვალეობის დროებითა შემსრულებელმა, მთავრობის თავმჯდომარე რამილ გაისანოვმა შურნალისტებთან შეხვედრისას თავი შეიკავა მინისტრის მკვლელობის ვერსიებზე ლაპარაკისგან. მან განაცხადა, რომ მიმდინარეობს გამოძიება და ვერსიებზე ლაპარაკი ნაადრევია. როგორც ჩანს, არსებობს ეჭვი, რომ რუსლან ამერხანოვის მკვლელობა შეიძლება შიდა სახელისუფლებო კორუფციულ "გარჩევებს" უკავშირდებოდეს და არ იყოს არაოფიციალური შეიარაღებული ფორმირებების ნახელავი, რომლებიც ძირითადად სამართალდამცვეებსა და პოლიტიკურ ხელმძღვანელებზე "ნადირობენ".

სხვათაშორის პრეზიდენტი ევკუროვი ორშაბათს გამოწერეს მოსკოვის კლინიკიდან. მან განაცხადა, რომ რეაბილიტაციის მცირე პერიოდის, დაახლოებით ერთი კვირის გასვლის შემდეგ მზად იქნება დაუბრუნდეს მოვალეობების შესრულებას.

მომზადდა ივა შილაკაძემ

ტაიფუნი ტაივანში

მაშველებმა 700 დაკარგული ადამიანი იპოვეს - ძებნა გრძელდება

მარიკა იახვილი

ტაივანის ხელისუფლება აცხადებს, რომ ტაიფუნ "მარაკოტის" მსხვერპლის რაოდენობა 67 ადამიანს შეადგენს, ხოლო ასობით ტაივანელი ჯერ კიდევ დაკარგულად ითვლება.

ხელისუფლების მტკიცებით, ფართომასშტაბიანი სამაშველო ოპერაციის შედეგად გაირკვა, რომ კუნძულის სამხრეთ ნაწილში თითქმის 700 ადამიანი, რომელიც დღემდე დაკარგულად მიიჩნეოდა, გადარჩა.

"ჩვენ ვიპოვეთ ცოცხალი 700 ადამიანი სამ სოფელში და შემდეგ კიდევ 26. სამაშველო ოპერაციებში 25 ვერტმფრენია ჩართული," - განუცხადა ჟურნალისტებს სამსახველო სამსახურის ერთ-ერთმა უფროსმა, გენერალ-მაიორმა რიჩარდ ხუმი.

თუმცა, რეგიონში მომუშავე კორესპონდენტების ცნობებით, ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ რამდენი ადამიანის გადარჩენა მოხერხდა, დაუზუსტებელი და წინააღმდეგობრივია.

დაზარალებულ რაიონებში სამაშველო სამუშაოები გრძელდება, მაგრამ რთულ პირობებში, რადგან სტიქიის ზონაში გზები, ფაქტობრივად, ალარ არსებობს, ხიდები ჩანგრეულია და მაშველები ტრაგედიის ადგილამდე მიღწევას ვერ ახერხებენ.

იმ სოფლებიდან, რომლებიც გარესამყაროს არის მოწყვეტილი, ადამიანების ევაკუაცია



AFP © 2009

ვერტმფრენებით უზღებთ.

ქვეყნის პრეზიდენტი მა ინცზიუ დაზარალებულ ადგილებს თავად ათვალისწინებს და ზარალის დათვლაში მონაწილეობს. გარდა ამისა, პირადად აკონტროლებს სამაშველო სამუშაოების მიმდინარეობას.

ტაიფუნმა "მორაკოტმა" ტაივანში ბოლო 50 წლის მანძილზე ყველაზე დიდი ნგრევა გამოიწვია.

ქვეყანაში, რომელიც წყალდიდობებს მიჩვეულია, ტაიფუნმა, სულ მცირე, 2 მეტრის სიმაღლის ნალექები გამოიწვია. ზარალი, რომელიც "მორაკოტმა" ტაივანის სოფლის მეურნეობას მიაყენა, სულ მცირე, 225 მილიონ აშშ დოლარს შეადგენს. გარდა ამისა, ამ დროისათვის არსებული ინფორმაციით, 30 ათასი სახლი ელექტროენერჯის, ხოლო კიდევ 750 ათასი - წყლის გარეშეა დარჩენილი.

სტიქიისგან აზია-წყნარი ოკეანის რეგიონის სხვა ქვეყნებიც დაზარალდა. ჩინეთში მენყერის გამო მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლები ჩამოინგრა, ევაკუირებულია დაახლოებით 1.4 მილიონი ადამიანი, გარდა-

იცვალა 8 ადამიანი და დაინგრა 6 ათასი სახლი.

იაპონიასა და ფილიპინებზე ტალახის ნაკადებმა რამდენიმე სოფელი დატბორა. სტიქიის მსხვერპლთა რაოდენობა ამ ქვეყნებში რამდენიმე ათეულ ადამიანს შეადგენს, თუმცა ზუსტი ციფრი ჯერჯერობით არ სახელდება.

ივლისი-სექტემბრის პერიოდი აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში ყველაზე სახიფათოდ ითვლება: სწორედ ამ დროს ხდება წლის ყველაზე ძლიერი ტაიფუნები და ტროპიკული შტორმები.

ბიზნესი

ეკონომიკის მინისტრი მოთხოვნა შენარჩუნდა

ნინო ნატროშვილი

ექსპერტები მუდმივად იმაზე საუბრობენ, რომ სამხრეთ-ბიზნესში კრიზისია, რომ ბევრი კომპანია გაკოტრდება და, თუ არ გაკოტრდება, მაშინ ფასებს დაწევს. ფაქტობრივად, ეს პროცესი დაიწყო კიდევ რიგი კომპანიების საქმიანობის შესახებ მალე სასამართლოც იმსჯელებს.

როგორც სამხრეთ-ბიზნესში კომპანიების წარმომადგენლები მიიჩნევენ, ექსპერტების მიერ გაკეთებული განცხადებების მთავარ პრობლემას ის წარმოადგენს, რომ რეალური სიტუაცია არ იცვან, არც ერთ მათგანს სამხრეთ-ბიზნესთან შეხება არ აქვს, ხოლო საზოგადოება მათ არს ითვისებენ.

სწორედ ამან განაპირობა მოთხოვნის შემცირება და, შესაბამისად, ბიზნესის გაყვანილობის შემცირება. ხალხი ფასების დაწევას ელოდება, თუმცა რეალურად თუ შევხედავთ, ფასების მკვეთრი დანევა კიდევ უფრო მეტ პრობლემას შექმნის. თუ მშენებელი თვითღირებულებას ნაკლებად გაყიდის, მაშინ მშენებლობას ვერ დაასრულებს. ამიტომ ეს გამოსავალი არ არის. გამორიცხული არ არის, ფასების მცირე დანევა მოხდეს, თუმცა ეს მხოლოდ

დროებითი პროცესი იქნება და მომავალში ფასები კიდევ უფრო გაიზრდება. სამხრეთ-ბიზნესში კრიზისი საბანკო კრიზისით არის გამოწვეული და ასევე, შემოთქმული მიზეზის გამო, ანუ გაყიდვების შემცირებით. ყველასთვის ცნობილია, რომ მშენებლობა საბანკო კრედიტით და კლიენტების შემონატანებით ფინანსდებოდა. რადგან ორივე წყარო შეჩერებულია, მენაშენებლებს საკუთარი რესურსებით მშენებლობის გაგრძელება უზღებიათ, თუმცა ეს რესურსი ბევრ მათგანს არ გააჩნია. ამ ეტაპზე რესურსები იმისა, რომ დაწყებული მშენებლობები დაასრულონ, ალბათ მხოლოდ მსხვილ კომპანიებს აქვთ. სამხრეთ-ბიზნესში მშენებლობის პრობლემების შესახებ "ბიზნესი" სამხრეთ-ბიზნესში კომპანია "საბა"-ის წარმომადგენელ დავით შაფთოშვილს ესაუბრა:

- ამ ეტაპზე ყველა კომპანიის გაყიდვები შემცირებულია. ამას ფასების შემცირების მოლოდინი და დაძაბული პოლიტიკური ვითარება განაპირობებს. ფასები ჩვენმა კომპანია-მაც დასწია - ახლა 1 კვადრატულ მეტრ მშენებარე ფართს 600 დოლარად ვყიდით, როცა ერთი კვადრატული ფართი ჩვენთან 700-800 დოლარი ღირდა. ამ ეტაპზე თბილისში საცხოვრებელ ბინას მხოლოდ ერთ ადგილას ვაშენებთ. გვექონდა კიდევ ორი პროექტი, რომლის განხორციელებისგანაც თავი ჯერჯერობით შევიკავეთ. საცხოვრებელ სახლს, რომელიც სარაჯიშვილის მეტროსთან შენდება, წელს დავამთავრებთ. ამ ეტაპზე ამ კორპუსში მხოლოდ ბინების ერთი მესამედი დავგვრჩა გასაყიდი.

- ექსპერტების შეფასებით, ბინების გათავისება გარკვეულწილად იმანაც განაპირობა, რომ სამხრეთ-ბიზნესში მშენებლობის პრობლემების დასაწყისში უზღებიათ, თუმცა ეს რესურსი ბევრ მათგანს არ გააჩნია. ამ ეტაპზე რესურსები იმისა, რომ დაწყებული მშენებლობები დაასრულონ, ალბათ მხოლოდ მსხვილ კომპანიებს აქვთ. სამხრეთ-ბიზნესში მშენებლობის პრობლემების შესახებ "ბიზნესი" სამხრეთ-ბიზნესში კომპანია "საბა"-ის წარმომადგენელ დავით შაფთოშვილს ესაუბრა:

- სამხრეთ-ბიზნესში ბევრმა ფაქტორმა განაპირობა. პირველი იმან, რომ ბანკებმა კრედიტების გაცემა შეაჩერეს. მეორე ფაქტორი აგვისტოში მომხდარი იმი იყო. მესამე კი არის ბინებზე ფასების შემცირების მოლოდინი. მშენებლობების დიდი ნაწილი ჩაჩერებულია.

- მოსალოდნელია თუ არა უძრავ ქონებაზე ფასების კიდევ უფრო დანევა?

საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს

კახეთის რეგიონში, შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ახმეტა-ფშაველი-ყვარელი-ნიმიგორის საავტომობილო გზის 99 კმ-იანი მოსაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს. სარეაბილიტაციო სამუშაოები (ასფალტის) შემასწორებელი ფენის დაგებას, ზედაპირულ დამუშავებას, ხელოვნური ნაგებობების, სადრენაჟო არხების, სანიაღვრესისტემების უზრუნველყოფას, საგზაო ნიშნების მოწყობისა და გზის მონიშვნის სამუშაოებს ითვალისწინებს.

სარეაბილიტაციო სამუშაოები 2009 წელს დაიწყო და 2010 წელს დასრულდება. სამუშაოების ღირებულება მსოფლიო ბანკის თანადაფინანსებით 14,5 მილიონ ლარს შეადგენს. სარეაბილიტაციო სამუშაოებს შსს "კავკასიონის რეაბილიტაციის განყოფილება" ახორციელებს. აღნიშნულ მიმართულებაზე საგზაო ქსელის რეაბილიტაცია ხელს შეუწყობს გზებზე ავტოტრანსპორტის გამტარუნარიანობის გაზრდას,

მჭიდროდ დასახლებულ პუნქტებს შორის ავტოტრანსპორტის კომფორტულ გადაადგილებასა და მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

სავალუტო ფონდი დაფინანსებას ზრდის

საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF) Stand-By Arrangement პროგრამის ფარგლებში, საქართველოსთვის გამოყოფილ დაფინანსებას 1171,8 მილიონ აშშ დოლარამდე ზრდის. 148,4 მლნ. აშშ დოლარს საქართველო უახლოეს პერიოდში მიიღებს. IMF-ის დირექტორთა საბჭომ მესამედ გადახდა საქართველოსთვის 18-თვიანი Stand-By arrangement პროგრამის ფარგლებში, 2008 წლის

სექტემბერში დამტკიცებულ დაფინანსებას, რომელიც 748,3 მლნ აშშ დოლარს მოიცავდა და თანხის 423,5 მლნ აშშ დოლარით გაზრდის შესახებ გადაწყვეტილება მიიღო.

პროგრამა Stand-By Arrangement 2011 წლის 14 ივნისამდე გაგრძელდება.

აღნიშნული დაფინანსება მოხმარდება საქართველოს მაკროეკონომიკური პოლიტიკის გაუმჯობესებას, საერთაშორისო რეზერვების შევსებას და ხელს შეუწყობს ქვეყნის მიმართ ინვესტიციების ნდობის გაზრდას.

ჯოკონდა - ქალი ნერვული აშლილობის ფლვარაზე

ჯავრი არტეფაქტზე იყარეს და ეს პირველად არ მომხდარა...



სოფო კილასონია

რუსმა ტურისტმა ქალმა, რომელსაც საფრანგეთის მთავრობამ საფრანგეთის მოქალაქეობაზე უარი უთხრა, კერამიკული ფინჯანი პირდაპირ ლეონარდო და ვინჩის "მონა ლიზას" ესროლა. იდეა ლუვრში და საკმაოდ მოზრდილი დისტანციიდან ჯოკონდას დაუმიზნა, - ყველაზე პოპულარულსა და ძვირფასს სურათს მსოფლიოში, ქალბატონს, რომლის გამოც ლუვრის მუზეუმი მსოფლიო საზოგადოებისთვის ყველაზე საინტერესო მუზეუმად არის აღიარებული. ამას გარდა არსებობს სტატისტიკა, რომელიც ცხადყოფს, რომ ლუვრი ყველაზე მდიდარია, არა მხოლოდ კოლექციების თავსაზრისით, არამედ სტუმრებისა და შესაბამისად, შემოსავლების თვალსაზრისითაც. ჯოკონდას უარესებიც გადაუტანია, მაგრამ სანამ ამ ამბებს მოვიგონებდით, დაგამშვიდებთ, რომ ნამუშევარი არ დაზიანებულა. ტურისტი ქალი მშვიდად ჩაბარდა მცველებს და მათაც ის პოლიციას გადასცეს.

ჯოკონდას დასაცავად ათეულობით წელი მუშაობდნენ და ნერვიულობდნენ. მისი ხილვა მხოლოდ დისტანციიდან არის შესაძლებელი და თანაც მინის სარკოფაგშია განთავსებული. მაგრამ თავის ტკივილი ამ ნამუშევარს საფრანგეთისთვის ცოტა არ მოუიტანია. ყველაზე დიდი პრობლემა კი 1911 წელს შეიქმნა, როცა "მონა ლიზა" მოიპარეს. აღნიშნული ამბავი საკმაოდ სკანდალური გახლდათ და სხვათა შორის ამ ისტორიის დიდი ნაწილი გა-

მოიყენეს კინოსცენარისტის "როგორ მოვიპაროთ მილიონი" ოდრი ჰეპბერნის და პიტერ ოტელის მონაწილეობით.

მუზეუმის ყოფილი თანამშრომელი, ვინჩენცო პერუჯა 1911 წლის 20 აგვისტოს, კვირა დღეს ლუვრში შევიდა, სადაც მიიმალა და მთელი ღამით იქ დარჩა. მეორე დღეს, ანუ ორშაბათს მუზეუმი ტრადიციულად არც მასინ მუშაობდა, რის შესახებაც ცხადია ჯერ არგამოცხვარმა მძარცველმა იცოდა. გათენებულზე, ძალიან მშვიდად გამოვიდა სამალაგიდან, ჩაიცვა თეთრი ხალათი, ისეთი, როგორებიც ეცვათ მუზეუმის თანამშრომლებს, ჩამოხსნა სურათი, დაფა ("ჯოკონდა" შესრულებულია ზეთის საღებავებით ხის დაფაზე, რომელიც 77X53 სმ-ია.) გაათავისუფლა ჩარჩოსგან, რომელიც იქვე მოისროლა, სურათი ხალათის ქვეშ დამალა და კარგად დიდ ხანს იცადა, სანამ მთელი დღის განმავლობაში დარაჯი სადაც განმარტოვებოდა... მოხდა თუ არა ასე, პერუჯა გამოვიდა ლუვრიდან და სახლში წავიდა, - უბრალოდ სახლში! მხოლოდ 22 აგვისტოს აღმოჩინეს, რომ ღვთაებრივი და ლეგენდარული ქალბატონი მუზეუმში აღარ იყო. ესეც არ იფიქროთ, რომ მუზეუმის თანამშრომლებს აღმოეჩინათ, არა. სამშაბათს ახლადგაღებულ მუზეუმში მხატვარი ლუი ბერუ შევიდა და როცა ამ უკანასკნელმა დაცვას მიმართა შეკითხვით, თუ სად იყო ლეონარდოს შედევი, ლუვრში მხოლოდ ამის შემდეგ ახმაურდნენ და ამ ხმაურით დაიწყეს პარიზში ნამდვილი კომპარა.

ლუვრი დაიხურა ერთი კვირით, პოლიციამ დაკითხა ყველა, ვისაც

ოდესმე ახლოს მაინც ჩავლო ლუვრთან - მათ შორის ვინჩენცო პერუჯაც, რომელსაც მონა სახლში ესვენა. ამ უკანასკნელს უკვე ჰქონდა მშვენიერი ალიბი, რომლისაც გამოიმძებლებდა ირწმუნეს. სამაგიეროდ თავიდან არ ირწმუნეს პოეტის გიომ აპოლინერის, რომელმაც ქურდობამდე ბევრად ადრე, საზოგადოებას მოუწოდა დაეწვიათ ლუვრი. ამ სიტყვების გამო უკვე ლიზას დაკარგვის შემდეგ მან, როგორც უკვე ეჭვმიტანილმა, ერთი კვირა ციხეში გაატარა. ყოველი შემთხვევისთვის დაკითხეს პაბლო პიკასოც, რომელიც რატომღაც ეჭვმიტანილთა შორის აღმოჩნდა.

ჯოკონდა ორი წელი ვერ იპოვნეს, ორი წლის განმავლობაში პერუჯას ის სახლში, სკივრში ჰქონდა შენახული. 2 წლის შემდეგ ლეონარდოს ქმნილებასთან ერთად იტალიაში გამგზავრება და იქ ერთი გალერეისთვის მისი მიყიდვის სურვილიც კი გაუჩნდა. გალერეისტი ცხადია მაშინვე მიხვდა, რას სთავაზობდნენ და გარიგების პროცესზე დასასწრებად ფლორენციის მთავარი მუზეუმის - უფიცას დირექტორი დააპატიჟა. მათ პერუჯი დაარწმუნეს სურათი მათთვის დაეტოვებინა. დასთანხმდა რა იტალიელებს, სულ მალე ის იტალიის პოლიციამ დააკავა. 1913 წელს მონა ლიზა ლუვრში დაბრუნდა. იტალიამ მეორედ დაკარგა ჯოკონდა.

პერუჯის მოტივები ბოლომდე ცხადი და მის მეორე აღიარებული არასდროს გამხდარა. თუმცა ივარაუდეს, რომ მას სურდა ლეონარდოს ყველაზე ძვირადღირებული დანატოვარი მის "გენეტიკურ" სამშობლოში დაე-

ბრუნებინა. თუმცა სამწუხაროდ მან არ იცოდა, რომ თავის დროზე საფრანგეთის მეფემ ფრანცისკ I-მა ის კანონიერად შეიძინა და ლუვრის კოლექციითაა შორის არსებულ სხვა ექსპონატებისგან განსხვავებით "ჯოკონდა" ისტორიულ-პოლიტიკური ნაქურდალი არ არის. მიუხედავად ყველაფრისა, "მონა ლიზას" ქურდი იტალიაში ეროვნულ გმირად აღიქვეს, ალბათ ამიტომაც იტალიის ციხეში მან მხოლოდ რამდენიმე თვე დაჰყო.

და ვინჩის ამ ქმნილებისთვის კიდევ ერთი შემთხვევითი წელი 1956 წელს დადგა. ეს ქალაქ მონტობანში მოხდა, სხვათაშორის ომის დროს სწორედ ამ ქალაქში მალაგდნენ ჯოკონდას ფრანგები. ერთ-ერთმა დამთვალეობებმა ნამუშევარს ქვა ესროლა. ნასროლმა დამცავი მინა შეამტვრია და ქალბატონის იდაყვთან დაზიანებაც კი მიყენა, - საღებავის ზედა ფენა აიქურცლა. ამის შემდეგ გაძლიერდა სწორედ დამცავი საშუალებები და ამ ამბის შემდეგ "ჯოკონდას" ვთვალეობები იმაზე დიდი დისტანციიდან, ვიდრე სხვა ექსპონატებს ლუვრში და არა მხოლოდ ლუვრში.

უნდა ითქვას, რომ ადამიანები მხოლოდ "ჯოკონდას" როდი ერიან. რემბრანდტის "დანაიას" 1985 წელს ბევრად სახიფათო დაზიანებები მიყენეს, როცა ნამუშევარი ერმიტაჟის მუზეუმში გახლდათ გამოფენილი. ისევ ერთმა შემთხვევით რუსმა ტილოს რამდენჯერმე ჩასცა დანა და შემდეგ მჟავა შეასხა. ტილოს 30 პროცენტი დაზიანდა და მის რესტავრაციას 12 წელი შეაღიეს...

სტატისტიკის თანახმად ვანდალებად წოდებულნი, ხელოვნების ცნობილი ნიმუშებზე გადამტერებული ადამიანების უმრავლესობა მამაკაცია. თუმცა არსებობს გამონაკლისებიც. გამოწვევისა ის რუსი ქალბატონი, რომელმაც რამდენიმე დღის წინ ბრიტანული წარმოების ფინჯანი (ფინჯანის ბრიტანულ წარმოებაზე ფრანგები დაზარების გარეშე აკეთებენ აქცენტს) ჟოკონდას დამცავ მინას მიალენა, თუმცა გამონაკლისი მხოლოდ ის არ არის.

1914 წელს ლონდონის ეროვნულ გალერეაში ვინჩე მერი რიჩარდსონმა გაამტვრია მინა, რომელიც დიეგო ველასკესის ცნობილ სურათს - "ვენერა სარკით" ფარავდა. ეს არ იმყოფინა და დიდი დანით ტილო რამდენიმე ადგილას გაჭრა. თავიდან ქალბატონმა საკუთარი ქმედება სხვადასხვა არასაფუძვლიანი მიზეზებით ახსნა, პოლიტიკური კონტესტი, პროტესტი და ა.შ. თუმცა 40 წლის შემდეგ განმარტა, რომ ვენერა დაზიანა იმიტომ, რომ მას მამაკაცები საათობით გაოგნებულნი უმზერდნენ. ეს მოტივი სარწმუნოდ ყველამ ერთბაშად აღიარა, ქალმაც და კაცმაც, ალბათ იმიტომ

რომ სწორედ ამ ტიპის მოტივს ჰქვია ქმნილობის ქალური სიგიჟე.

ბოლო და ყველაზე გახმაურებული შემთხვევა სურათებისა და შემთხვევითი ქალების ურთიერთობებიდან 2007 წელს მოხდა. კამბოჯური წარმოშობის ფრანგმა ჟურნალისტმა გოგომ - სემ რიდლიმ ავინიონის გალერეაში აკოცა საია ტუმბლის ნახატს. ნერდნენ, რომ ეს იყო ნამდვილი სასიყვარულო აქტი, უფრო სწორად - რიტუალი. მიუხედავად დიდი ნერვიულობისა, თავდაპირველად ნახევარ მილიონ ევროდ შეფასებული ნახატის ფასმა 2 მილიონამდე მას შემდეგ მიაღწია, რაც ფერწერის თეთრს ჟურნალისტის წითელი პომადის კვალი დააჩნდა. საბედნიეროდ. ქალების თავნებობას გაგიჟებული და დეპრესიული მამაკაცები ვანდალური აქტების რაოდენობა აბალანსებს, თორემ მამაკაცები აშკარად მიუხურავდნენ საპირისპირო სქესის დამთვალეობებზე მუზეუმების კარებებს.

დასავლური პრესა ქილიკობს, რომ "არც მონა ლიზა გამონაკლისი, ეს ქალბატონიც, ისე როგორც სხვები მსოფლიოში, ნერვიული აშლილობის ზღვარზეა". ეს ნამდვილი ქილიკია დასავლეთის მხრიდან. მონა ლიზას ნამდვილად აქვს ათასობით მიზეზი, რის გამოც კაცობილობაზე უნდა გამწარდეს და თავი იგრძნოს მწვევე ნერვიული აშლილობის საზრვარზე. არ შეეცებოდნენ ბრაუნის მიერ "და ვინჩის კოლში" ჟოკონდას შენახვას, თანაც უაზროდ. არც იმ მეცნიერებს, რომლებიც ამ ნამუშევარში საიდუმლოებებს ეძებენ, იმ მთავარი საიდუმლოს გარდა, რაც თვალნათლია და რასაც მისი დიდებულება ჰქვია. ხელოვნების არც ერთი ნიმუში, ხელოვნების არც ერთი პერსონაჟი არ დაუცინავთ და არ აუვდიან აბუჩად ისე, როგორ და ვინჩის ლიზა. ეს ყველაფერი მაინც პოპარტიდან დაიწყო, როცა ტრადიციული, ისტორიული სახე-ხატებების სხვადასხვა კონტექსტში ტრანსფორმაცია დაიწყო. ერთ-ერთი შეტყევის ობიექტი სწორედ ჟოკონდა გახდა. სხვათაშორის არც სხვა რომელიმე ქმნილების ავ-კარგიანობაზე გვიდავია ადამიანებს ამდენი. თუმცა ყველაზე მეტს დაობანე მასინ როცა არ უნახავთ ორიგინალში, როცა არ შემცბარან მასში გაერთიანებული მოკრძალებითა და სიამაყით. თუმცა დაობენ მაშინაც, როცა ნახულობენ და შთაბეჭდილება აბრმავებთ... დღეს მონა ლიზა არის ყველაგან - მისურებზე, მამაკაცის ნინდებზე, სარეკლამო რგოლებში, - დეფორმირებული სახით, დეფორმირებული გამომეტყველებით. მაგრამ ის მაინც არის განუყოფელი და ერთადერთი. საუარაუდოდ სწორედ ეს არის ყველაზე მთავარი მოტივი, რომლის გამოც მას ქვევს უშენენ.

საზაფხულო 25%-იანი ფასდაკლება

Tucson



17 550

Santa Fe



24 500

Sonata



19 400

HYUNDAI i30



15 200

Drive your way

www.hyundai.ge

51 77 99

აპრილის ომი დიდ ეკრანზე

ამერიკელი რეჟისორი ქართველი სცენარისტის ნამუშევარზე ფილმს იღებს

ნა ვაკაძე



საქართველო-რუსეთის ომის დასრულებიდან ერთი წლის შემდეგ აგვისტოს დღეები დიდ ეკრანზე გადაინაცვლებს. უკვე ოფიციალურად დადასტურდა, რომ ამერიკელი რეჟისორი რენი ჰარლინი ქართველი სცენარისტის მიერ შექმნილ სიუჟეტს გადაიღებს. ამის შესახებ ინფორმაციას უცხოურ პრესაზე დაყრდნობით საქართველოს კინემატოგრაფისტთა ეროვნული კავშირი ავრცელებს. უკვე ცნობილია ფილმის მომავალი პროდიუსერების ვინაობაც და პრემიერის თარიღიც.

ომის შესახებ ფილმის გადაღების შესახებ მისი დასრულებიდან ცოტა ხანშივე ალაპარაკდნენ. მაშინ საუბრობდნენ პროექტზე, რომელშიც მთავარი, ანუ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის როლი ჰოლივუდის ვარსკვლავ ნიკოლას კეიჯს უნდა ეთამაშა. მართალია აღნიშნული პროექტი დღემდე არ განხორციელებულა, მეტიც, პრაქტიკულად ერთი ნაბიჯითაც არ წაწეულა წინ, მასზე საუბარი მაინც გრძელდება და ინტერნეტში მცირედი ინფორმაციის მოპოვებაც შესაძლებელია, სადაც მსახიობისა და პრეზიდენტის გარეგნულ მსგავსებაზეც მიდის მსჯელობა. როგორც ჩანს, ეს პროექტი კიდევ დიდხანს დარჩება მხოლოდ საუბრის თემად - თუ ნიკოლას

კეიჯის მომავალი პროექტების ჩამონათვალს გადავავლებთ თვალს, დაახლოებით ათამდე ჯერ დაუსრულებელი ფილმის სათაურს ამოვიკითხავთ, რომლებსაც არაფერი აქვთ საერთო აგვისტოს ომთან.

რაც შეეხება ახალ პროექტს, მის შესახებ გაცილებით მეტი და სარწმუნო ინფორმაცია არსებობს, რასაც უცხოურ ინტერნეტ პრესაში გამოქვეყნებული რენი ჰარლინის კომენტარებიც ამყარებს: "დიდი ხანია სერიოზული ფილმის გადაღებაზე ვოცნებობდი. ეს სწორედ ის სცენარია, რომელსაც დიდხანს ველოდი - შესანიშნავი ამბავი ადამიანების შესახებ, სერიოზული და ტრაგიკული ობერტონებით".

ცხადია საინტერესოა, ვის სცენარის ინონებს ასე ჰოლივუდელი რეჟისორი - მისი ავტორი დავით იმედაშვილია. ეს მისთვის პირველი სერიოზული კინოპროექტია, თუმცა აქვს ვიდუო კლიპების, მოკლემეტრაჟიანი ფილმებისა და მასშტაბური ღონისძიებების რეჟისურის გამოცდილება. დავით იმედაშვილის სცენარმა ეროვნული კინოცენტრის მიერ შარშან ოქტომბერში გამოცხადებულ კონკურსში გაიმარჯვა, რომელიც სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის პროექტის განვითარების დასაფინანსებლად ჩატარდა. კონკურსი პირველ რიგში საქართველო-რუსეთის ომის შესახებ შექმნილი სცენარების ნახალისებას ისახავდა მიზნად - იმედაშვილის ნამუშევარი კი მათ შორის საუკეთესო

აღმოჩნდა. კინოცენტრის დაფინანსება, 10 000 ლარი კი ფილმის სცენარის განვითარებას მოხმარდა.

"მას შემდეგ, რაც სცენარმა კონკურსში გაიმარჯვა, იგი ამერიკაში, ფილმმარკეტზე წავიღე, სადაც ინვესტორებისა და კოპროდიუსერების ძებნას შევეუდექი. მათი შერჩევის შემდეგ კი საქმე რეჟისორზეც მიდგა - დაახლოებით ერთწლიანი ძიების შემდეგ არჩევანი რენი ჰარლინიზე შევჩერეთ", - ამბობს დავით იმედაშვილი. მის მიერ დაწერილი სცენარის სიუჟეტი ამერიკელი ჟურნალისტისა და ოპერატორის ისტორიის ირგვლივ ვითარდება, რომლებიც აგვისტოს ომის დროს სამუშაოდ კონფლიქტის ზონაში აღმოჩნდებიან.

იმედაშვილის სცენარის სამუშაო სახელწოდებაა "კავკასიური ყვავილი". სავარაუდოდ ეს სახელწოდება შეიცვლება, რადგან მსოფლიო კინოს მონაცემთა ინტერნეტ ბაზა imdb.com-ზე მას ზოგადი სახელწოდება **Untitled Renny Harlin/Georgia-Russia War Project** აქვს მინიჭებული.

ცნობილია ისიც, რომ ფილმის თანაპროდიუსერები დავით იმედაშვილი, ჯორჯ ლასკუ, მაიკლ ფლენიგანი და თავად ჰარლინი იქნებიან. ჯორჯ ლასკუს ფილმოგრაფიაში განსაკუთრებული პროექტი არ იკითხება, თუნცა ფლენიგანს ბრაი-

ან დე პალმას "შავ ორქვიდაზე" და ჯონ ავენეტის ტრილერ "88 წუთზე" უმუშავია, რომელშიც მთავარ როლს ალ პაჩინო თამაშობს. ასევე პრაქტიკულად არაფრის მთქმელია ამავე ინტერნეტ საიტზე მითითებული ფინელი მსახიობის მიკო ნოუსიანენის სახელიც. რაც შეეხება სხვა მსახიობებს, დავით იმედაშვილის თქმით, კასტინგი ამ ეტაპზე მიმდინარეობს და სამსახიობო ანსამბლი ძირითადად ამერიკული იქნება.

